ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს სხდომის

ოქმი №1

თარიღი 17.06.2022

მდებარეობა: ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქ. № 90

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზი

2022 წლის 17 ივნისს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საბჭოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია.

სხდომის მდივანი: თეონა გიგიბერია

სხდომას ესწრებოდნენ: მამუკა წოწერია, მაიზერ ნანავა, კონსტანტინე კაკავა, კობა ჯიქია, მამუკა ლოგუა, თამარ სოსელია, ნათია ჩიტაია, მიხეილ ქობალია, იური შეროზია, თამარ ქავთარაძე, სანდრო სორდია, გიორგი კუჭავა, ფრიდონ წიფურია, მაია კოდუა, ირაკლი ქოჩუა, არსენა ფაცაცია.

სხდომას არ ესწრებოდნენ: დიმიტრი ფაცაცია, ხათუნა შამუგია.

დღის წესრიგი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „მწვანე ბიუჯეტის“ საბჭოს საქმიანობის წესი;
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „მწვანე ბიუჯეტის“ ფორმირების წესი.

ზუგდიდის მუნიცპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს საქმიანობის წესის პროექტი წარმოადგინა საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ.

,,მწვანე ბიუჯეტის საბჭო-ს“ შექმნის მიზანია სამოქალაქო ინიციატივის წახალისების გზით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტში მწვანე პოლიტიკის განსაზღვრისას საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებისთვის, საინიციატივო ჯგუფებისა და იურიდიულ პირებისათვის შესაძლებლობის შექმნა, თვითონ შეიმუშაონ და განსაზღვრონ კონკრეტულ დასახლებაში თუ უბანში არსებული პრიორიტეტული გამწვანების პროექტები; ამასთან მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან "მწვანე ბიუჯეტის" პროცესის განხორციელებისთვის გამოყოფილი საერთო თანხა შეადგენს 100 000 (ასი ათას) ლარს.

საბჭოს თავჯდომარე მამუკა წოწერიამ კითხა საბჭოს წევრებს გააჩნდათ თუ არა რამე შენიშვნა მწვანე ბიუჯეტის საქმიანობის წესთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა სანდრო სორდიამ წარმოსთქვა მოსაზრება საბჭოს საქმიანობის წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულობასთან დაკავშიერებით და წამოაყენა წინადადება რომ, აღნიშნულ მუხლში გაწერილიყო საბჭოს ანგარაშვალდებულება საკრებულოს წინაშეც.
ასევე სანდრო სორდიამ მოახსენა საბჭოს წევრებს საბჭოს უფლებამოსილებაზე პროექტის მიმდინარეობისას შეამოწმოს მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი ინიციატივები (შესაბამისი სამსახურებისა და სპეციალისტების მონაწილოებით) კონკრეტულ დასახლებაში წარმოდგენილი პროექტის განხორციელების თაობაზე, გაეცნოს წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას და უზრუნველყოს აღნიშნული პროექტის თანადაფინანსების საკითხის გადაწყვეტა: მუნიციპალიტეტის 95 %-იანი და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის 5%-იანი წილობრივი მონაწილეობით;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „მწვანე ბიუჯეტის“ ფორმირების წესის შესახებ საბჭოს წევრმა სანდრო სორდიამ მოახსენა საბჭოს წევრებს

,,მწვანე ბიუჯეტი“-ს საბჭოს ფორმირება მიზნად ისახავს საზოგადოების ჩართულობას მათთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის თანამონაწილეობით, მოსახლეობის ჩართულობით, კონკეტული მიმართულების (გამწვანების) განსაზღვრა.

მწვანე ბიუჯეტი არის პროცესი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის გარე იერსახის მოწესრიგებაში და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შქმნა/მოწყობაში. მწვანე ბიუჯეტის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ თვითონ, თანამონაწილოებით გადაწყვიტონ თუ რაში დაიხარჯება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილი თანხები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული ფულადი სახსრები საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს თავად დაგეგმონ და განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები, ასევე თვალყური ადევნონ მათ განვითარებას. შესაბამისად, ,,მწვანე ბიუჯეტი“ არის თვითმმართველობის განხორციელების და განვითარების ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობას.

მწვანე ბიუჯეტის საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა რეკომენდაციებს და მიიღო გადაწყვტილება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საქმიანობის წესის და ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარე:	მ. წოწერია
სხდომის მდივანი:	თ.გიგიბერია

საბჭოს წევრები:

მაიზერ ნანავა	მ. ნანავა
კონსტანტინე კაკავა	კ. კაკავა
კობა ჯიქია	კ.ჯიქია
სანდრო სორდია	ს. სორდია
მამუკა ლოგუა	მ. ლოგუა
თამარ სოსელია	თ. სოსელია
ნათია ჩიტაია	ნ. ჩიტაია
მიხეილ ქობალია	მ.ქობალია
იური შეროზია	ი. შეროზია
თამარ ქავთარაძე	თ. ქავთარაძე
გიორგი კუჭავა	გ. კუჭავა
ფრიდონ წიფურია	ფ. წიფურია
მაია კოდუა	მ. კოდუა
ირაკლი ქოჩუა	ი. ქოჩუა
არსენი ფაცაცია	ა. ფაცაცია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს სხდომის

ოქმი №1

თარიღი 05.06.2023

მდებარეობა: ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქ. № 90

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზი

2023 წლის 5 ივნისს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მაიზერ ნანავა.

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: კონსტანტინე კაკავა, კობა ჯიქია, ლაშა ადეიშვილი, სანდრო სორდია, გიორგი გაწერელია, ირაკლი ციმაკურიძე, თეონა გიგიბერია, იური შეროზია, დიმიტრი ფაცაცია, შალვა აგუმავა, ფრიდონ წიფურია.

სხდომას არ ესწრებოდნენ: მამუკა წოწერია, ბესიკ ჭეჟია, თემურ ჯიქია, ხათუნა შამუგია, მაია კოდუა, ირაკლი ქოჩუა, არსენა ფაცაცია, ნათია ჩიტაია.

სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. ,,მწვანე ბიუჯეტის“ ფარგლებში ჩასატარებელი საინფორმაციო კამპანიის შესახებ.
2. „მწვანე ბიუჯეტის“ საპროექტო ინიციატივის განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ.
3. საპროექტო განაცხადების მიღებისა და ვერიფიკაციის ვადების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მაიზერ ნანავამ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი - მწვანე ბიუჯეტის ფარგლებში ჩასატარებელი კამპანიის თაობაზე. მან აგრეთვე გამოთქვა აზრი საინფორმაფიო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებით მერის წარმომადგლების ჩართვის მიზანშეწონილობის შესახებ.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა სანდრო სორდიამ სხდომის მონაწილეებს მოახსენა რომ საინფორმაციო კამპანიის წარმოებისათვის აუცილებელია შეხვედრები მოსახლეობასთან „გავიდეთ ველზე ჩავიცათ მაისურები" სიმბოლური დატვირთვის მქონე მაისურების დამზადება, (თუ ეს შესაძლებელია პიარის ბიუჯეტით), საბჭოს წევრმა კონსტანტინემ კაკავამ აზრი გამოთქვა ფლაერების დამზადებაზე, რომ მაისურებით გამოწყობილემა გააცნონ ქალაქად და სოფლად მოსახლეობას მწვანე ბიუჯეტის საინიციატივო განაცხადის ფორმა და რეკომენდირებული ნარგავების ჩამონათვალი.

საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით საინფორმაციო კამპანია წარმოებულ იქნება მოსახლეობასთან შეხვედრებით და ასევე ონლაინ სოციალურ ქსელების გამოყენებით.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით სანდრო სორდიამ გააცნო საბჭოს წევრებს მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განაცხადის ფორმა, რომელიც ყველა საბჭოს წევრმა მოიწონა.

სხდომის თავმჯდომარემ მაიზერ ნანავამ საბჭოს წევრებს გააცნო საპროექტო განაცხადების მიღებისა და ვერიფიკაციის კონკრეტული ვადები.

1. საინფორმაციო კამპანიის წარმოება - 10 ივნისიდან 20 ივლისამდე;
2. საინიციატივო განაცხადების მიღების ვადა - 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე;
3. ვერიფიკაცის ვადები - 20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე.

მწვანე ბიუჯეტის საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა მწვანე ბიუჯეტის" ფარგლებში ჩასატარებელი საინფორმაციო კამპანიის შესახებ, საპროექტო ინიციატივის განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ და საპროექტო განაცხადების მიღებისა და ვერიფიკაციის ვადების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამით ამოიწურა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარის
მოადგილე: მ. ნანავა

სხდომის მდივანი: თ. გიგიბერია

საბჭოს წევრები:

კონსტანტინე კაკავა		კ. კაკავა
სანდრო სორდია		ს. სორდია
კობა ჯიქია		კ. ჯიქია
ლაშა ადეიშვილი		ლ. ადეიშვილი
გიორგი გაწერელია		გ. გაწერელია
ი. ციმაკურიძე		ი. ციმაკურიძე
იური შეროზია		ი. შეროზია
დიმიტრი ფაცაცია		დ. ფაცაცია
შალვა აგუმავა		შ. აგუმავა
ფრიდონ წიფურია		ფ. წიფურია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს სხდომის

ოქმი №2

თარიღი 21.08.2023

მდებარეობა: ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქ. № 90

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზი

2023 წლის 21 აგვისტოს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მაიზერ ნანავა.

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: კონსტანტინე კაკავა, კობა ჯიქია, ლაშა ადეიშვილი, გიორგი გაწერელია, თეონა გიგიბერია, იური შეროზია, შალვა აგუმავა, ფრიდონ წიფურია, ირაკლი ქოჩუა, მაია კოდუა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: მამუკა წოწერია, ბესიკ ჭეჟია, თემურ ჯიქია, ირაკლი ციმაკურიძე, სანდრო სორდია, ხათუნა შამუგია, დიმიტრი ფაცაცია, არსენა ფაცაცია, ნათია ჩიტაია.

სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. საინიციატივო განაცხადების მიღების ვადის გაგრძელების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მაიზერ ნანავამ გამოთქვა მოსაზრება საპროექტო განაცხადების მიღების ვადის გაგრძელების თაობაზე.

ასევე საბჭოს წევრმა კონსტანტინე კაკავამ განაცხადა, რომ აუცილებელია საპროექტო განაცხადების მიღების ვადის გაგრძელება რადგან თანხა რაც გამოყოფილია მწვანე ბიუჯეტზე 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით ათვისებულ უნდა იქნას, ასევე თქვა, რომ რაც უფრო მეტი განაცხადი შემოვა უკეთესი იქნება კონკურენციის თვალსაზრისით.

საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა „მწვანე ბიუჯეტის" ფარგლებში საპროექტო ინიციატივის განაცხადის ვადის გაგრძელების შესახებ მიღებულ წინადადებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამით ამოიწურა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარის მოადგილე:		მ. ნანავა
სხდომის მდივანი:		თ. გიგიბერია

საბჭოს წევრები:

კონსტანტინე კაკავა		კ. კაკავა
კობა ჯიქია		კ. ჯიქია
ლაშა ადეიშვილი		ლ. ადეიშვილი
გიორგი გაწერელია		გ. გაწერელია
იური შეროზია		ი. შეროზია
შალვა აგუმავა		შ. აგუმავა
ფრიდონ წიფურია		ფ. წიფურია
ირაკლი ქოჩუა		ი. ქოჩუა
მაია კოდუა		მ. კოდუა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს სხდომის

ოქმი №3

თარიღი 25.09.2023

მდებარეობა: ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქ. № 90

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზი

2023 წლის 25 სექტემბერს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მაიზერ ნანავა.

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: კობა ჯიქია, თემურ ჯიქია, გიორგი გაწერელია, თეონა გიგიბერია, იური შეროზია, ირაკლი ციმაკურიძე, სანდრო სორდია, შალვა აგუმავა, ფრიდონ წიფურია, ირაკლი ქოჩუა, მაია კოდუა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: მამუკა წოწერია, ბესიკ ჭეჟია, ლაშა ადეიშვილი, ხათუნა შამუგია, დიმიტრი ფაცაცია, არსენა ფაცაცია, ნათია ჩიტაია.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. მოქალაქე მიმოზა ჯორბენაძის მიერ წარმოდგენილი მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განხილვა;

2. მოქალაქე კახა ჯიქიას მიერ წარმოდგენილი მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განხილვა;
3. მოქალაქე მარეხი შედანიას მიერ წარმოდგენილი მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატვის განხილვა;
4. მოქალაქე ბაკურ როგავას მიერ წარმოდეგენილი მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განხილვა;
5. მოქალაქე ბაჩანა ბაძაღუას მიერ წარმოდგენილი მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განხილვა;
6. მოქალაქე ვლადიმერ ქარჩავას მიერ წარმოდგენილი მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განხილვა;
7. მოქალაქე ვალინა ზარქუას მიერ წარმოდგენილი მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განხილვა;
8. მოქალაქე ბექა შელიას მიერ წარმოდგენილი მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განხილვა;
9. მოქალაქე დავით თოდუას მიერ წარმოდგენილი მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განხილვა;
10. მოქალაქე ეროსტი ლიპარტიას მიერ წარმოდგენილი მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განხილვა;
11. მოქალაქე დესპინე სახურიას მიერ წარმოდგენილი მწვანე ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივის განხილვა;

მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მაიზერ ნანავას ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით რომელმაც განმარტა, რომ მერიაში შემოვიდა მოქალაქე მიმოზა ჯორბენაძის განცხადება, რომელმაც წარმოადგინა მწვანე ბიუჯეტის საპროექტო წინადადება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მოხუცთა თავშესაფარის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებასთან დაკავშირებით. პროექტის ფარგლებში სურთ შეიძინონ ხე-მცენარეები: **უთხოვარი 5 ძირი; მარადმწვანე მუხა 5 ძირი; ხეტიტა 5 ძირი; ირმის რქა 5 ძირი.** პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება მათი გათვლით შეადგენს 10 000 ლარს.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებმა და მათ დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა.

გადაწყვიტეს: მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული პროექტის განხორციელება, შესაბამისად, დაკმაყოფილდეს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა. პროექტის ინიციატორს გაეგზავნოს ოფიციალური კორესპონდენცია პროექტის საორიენტაციო ღირებულების 5 პროცენტის მუნიციპალური ბიუჯეტის შესაბამის კოდზე **(სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 300823282)** ნებისმიერი საბანკო დაწესებულების მეშვეობით ასახვის შესახებ, ხოლო ოფიციალურ წერილში განსაზღვრულ ვადაში საბანკო დაწესებულებიდან თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითარი) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში ოფიციალურად წარმოდგენის შემთხვევაში დაევალოს ააიპ „კეთილმოწყობის

მართვის ცენტრს“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დარგის სპეციალისტების ჩართულობით განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება, მათ შორის, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, საპროექტო განაცხადის დაკმაყოფილების მიზნით.

მომსახურების შესყიდვისას გათვალისწინებულ იქნას პროექტის მდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობისათვის ყველა შესაბამისი კომპონენტი, მათ შორის, ნიადაგის მომზადების აუცილებლობა, მცენარეთა დარგვასთან ერთად ცხოველებისაგან დამცავი ღონისძიებების გატარება (დამცავი ღობეების დამონტაჟება), მინიმუმ ერთი სავეგეტაციო წლის განმავლობაში საჭიროების (ბუნებრივი გახმობის) შემთხვევაში მცენარეთა ჩანაცვლების ვალდებულება და სხვა აუცილებელი მოთხოვნები.

მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მაიზერ ნანავას ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით რომელმაც განმარტა, რომ მერიაში შემოვიდა მოქალაქე კახა ჯიქიას განცხადება, რომელმაც წარმოადგინა მწვანე ბიუჯეტის საპროექტო წინადადება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუსთაველის ქუჩაზე მდებარე „სამაიას“ ბაღის მწვანე ნარგავებით განაშენიანებასთან დაკავშირებით. პროექტის განხორციელების არეალში ცხოვრობს 50 კომლი. პროექტის ფარგლებში სურთ შეიძინონ ხე-მცენარეები: **ძახველი მარადმწვანე, ფორმირებული ბუჩქი 3 ძირი; ლორეპეტალუმი 5 ძირი; ჩიტავაშლა 15 ძირი; ვაშლანა 15 ძირი; ხვიარა ჟასმინი 4 ძირი; ლეილანდის კიპარისი 4 ძირი; მაგნოლია ლილიფლორა 1 ძირი; ფშატი ოქროსფერი 4 ძირი; ციკასის პალმა 2 ძირი; ოსმანთუსი 2 ძირი; კოწახური17 ძირი; აზალია 8 ძირი; იაპონური ნეკერჩხალი 2 ძირი; მაგნოლია სტელატა 1 ძირი; აბელია კალედოსკოპი 8 ძირი; თეთრი ჰორტენზია 5 ძირი; გლიცინია თეთრი და ლურჯი 2 ძირი; დაფნია 7 ძირი; ;გარდენია 3 ძირი; ძმრის ხე 1 ძირი; წვრილფოთოლა ლუგუსტრუმი ფორმირებული 2 ძირი; ალბიცია 1 ძირი; ;ფოტინია ფორმირებული ბუჩქი 4 ძირი; ვერცხლისფერი მრგვალფოთოლა ევკალიპტი 2 ძირი;** პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება მათი გათვლით შეადგენს 12 000 ლარს.

გადაწყვიტეს: **პროექტის ავტორთან და ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრის მონაწილეობით მოხდეს პროექტის მიხედვით წარმოდგენილი ხე-მცენარეთა ნარგავების რაოდენობის გადასინჯვა/ შემცირება.**

მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მაიზერ ნანავას ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით რომელმაც განმარტა, რომ მერიაში შემოვიდა მოქალაქე მარეხი შედანიას განცხადება, რომელმაც წარმოადგინა მწვანე ბიუჯეტის საპროექტო წინადადება ბუკიას ქუჩა N 3 ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ეზოს გამწვანებასთან დაკავშირებით. პროექტის განხორციელების არეალში ცხოვრობს 50 კომლი. პროექტის ფარგლებში სურთ შეიძინონ და დარგონ: **უთხოვარი 1 ძირი; ნეკერჩხალი 4 ძირი; აბრეშუმის აკაცია 1 ძირი; ირმის რქა 3 ძირი; ორნაკვთაინი**

გინგკო 1 ძირი. პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება მათი გათვლით შეადგენს 5 600 ლარს.

გადაწყვიტეს: პროექტის ავტორთან და ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრის მონაწილეობით მოხდეს პროექტის მიხედვით წარმოდგენილი ხე-მცენარეთა ნარგავების რაოდენობის გადასინჯვა, გაზრდა და სხვა სახეობების შერჩევა.

მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მაიზერ ნანავას ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც განმარტა, რომ მერიაში შემოვიდა მოქალაქე ბაკურ როგავას განცხადება, რომელმაც წარმოადგინა მწვანე ბიუჯეტის საპროექტო წინადადება ჩარგაზიას და ბესიკის ქუჩების გამწვანებასთან დაკავშირებით. პროექტის განხორციელების არეალში ცხოვრობს 48 კომლი. პროექტის ფარგლებში სურთ დარგონ და შეიძინონ **60 ძირი მუხა.** პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება მათი გათვლით შეადგენს 33 000 ლარს.

გადაწყვიტეს: პროექტის ავტორთან და ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრის მონაწილეობით მოხდეს პროექტის მიხედვით წარმოდგენილი ხე-მცენარეთა ნარგავების რაოდენობის გადასინჯვა/ შემცირება.

მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის მაიზერ ნანავას ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით რომელმაც განმარტა, რომ მერიაში შემოვიდა მოქალაქე ბაჩანა ბაძაღუას განცხადება, რომელმაც წარმოადგინა მწვანე ბიუჯეტის საპროექტო წინადადება ბარამიას ქ N46 კორპუსი N3-ის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებასთან დაკავშირებით. პროექტის განხორციელების არეალში ცხოვრობს 120 ოჯახი. პროექტის ფარგლებში სურთ შეიძინონ ხე-მცენარეები: **ხეტიტა 3 ძირი; ნეკერჩხალი 3 ძირი; ქართული მუხა 2 ძირი; ამბრის ხე 5 ძირი.** პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება მათი გათვლით შეადგენს 7 650 ლარს.

გადაწყვიტეს: პროექტის ავტორთან და ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრის მონაწილეობით მოხდეს პროექტის მიხედვით წარმოდგენილი ხე-მცენარეთა ნარგავების რაოდენობის გადასინჯვა, გაზრდა და სხვა სახეობების შერჩევა.

სხდომის თავმჯდომარის მაიზერ ნანავას ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც განმარტა, რომ მერიაში შემოვიდა მოქალაქე ვლადიმერ ქარჩავას განცხადება, რომელმაც წარმოადგინა მწვანე ბიუჯეტის საპროექტო წინადადება ნიკოლაძის ქუჩის გამწვანებასთან დაკავშირებით. პროექტის განხორციელების არეალში ცხოვრობს 5 ოჯახი. პროექტის ფარგლებში სურთ შეიძინონ ხე-მცენარეები: **მარადმწვანე მუხა 4 ძირი; უთხოვარი 3 ძირი** პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება მათი გათვლით შეადგენს 3 550 ლარს.

გადაწყვიტეს: პროექტის ავტორთან და ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრის მონაწილეობით მოხდეს პროექტის მიხედვით წარმოდგენილი ხე-მცენარეთა ნარგავების რაოდენობის გადასინჯვა/ შემცირება.

მოისმინეს სხდომის თავმჯდომარე მაიზერ ნანავას ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც განმარტა, რომ მერიაში შემოვიდა მოქალაქე ვალინა ზარქუას განცხადება, რომელმაც წარმოადგინა მწვანე ბიუჯეტის საპროექტო წინადადება კონსტანტინე გამსახურდიას ქ N219 მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებასთან დაკავშირებით. პროექტის განხორციელების არეალში ცხოვრობს 70 ოჯახი. პროექტის ფარგლებში სურთ შეიძინონ ხე-მცენარეები: **ირმის რქა 9 ძირი; ტუია 200 ძირი.** პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება მათი გათვლით შეადგენს 4 050 ლარს.

გადაწყვიტეს: **პროექტის ავტორთან და ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრის მონაწილეობით მოხდეს პროექტის მიხედვით წარმოდგენილი ხე-მცენარეთა ნარგავების რაოდენობის გადასინჯვა, შემცირება და სხვა სახეობების შერჩევა.**

მოისმინეს საბჭოს თავმჯდომარე მაიზერ ნანავას ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით რომელმაც განმარტა, რომ მერიაში შემოვიდა მოქალაქე ბექა შელია განცხადება, რომელმაც წარმოადგინა მწვანე ბიუჯეტის საპროექტო წინადადება სოფელ წაქვინჯის ადმინისტრაციული შენობის ეზოს, N1 N2, N3, და N7 სასაფლოების გამწვანებასთან დაკავშირებით. პროექტის განხორციელების არეალში ცხოვრობს 470 კომლი. პროექტის ფარგლებში სურთ შეიძინონ ხე-მცენარეები: **ცაცხვი 100 ძირი; ნეკერჩხალი 100 ძირი; ევოდეა 50 ძირი; ქართული მუხა 100 ძირი** პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება მათი გათვლით შეადგენს 4 000 ლარს.

გადაწყვიტეს: განმცხადებელს უარი ეთქვას საპროექტო ინიციატივის დაკმაყოფილებაზე და განემარტოს, რომ არეალის გამწვანება, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მსხვილბიუჯეტიანი პროექტის პირობებში. ,,მწვანე ბიუჯეტი" კი მიკროპროექტების დაფინანსებას ითვალისწინებს, გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების მდგრადობისათვის სასურველია მოცემულ ეტაპზე საბჭომ თავი შეიკავოს პროექტის ვერიფიკაციისაგან.

მოისმინეს საბჭოს თავმჯდომარე მაიზერ ნანავას ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც განმარტა, რომ მერიაში შემოვიდა მოქალაქე დავით თოდუას განცხადება, რომელმაც წარმოადგინა მწვანე ბიუჯეტის საპროექტო წინადადება სოფელ ახალაბასთუმანში, რ. გაბისონიას ქუჩის გამწვანებასთან დაკავშირებით. პროექტის განხორციელების არეალში ცხოვრობს 60 კომლი. პროექტის ფარგლებში სურთ შეიძინონ და დარგონ: **წითელი ნეკერჩხალი 70 ძირი.** პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება მათი გათვლით შეადგენს 15 000 ლარს.

გადაწყვიტეს: განმცხადებელს უარი ეთქვას საპროექტო ინიციატივის დაკმაყოფილებაზე და განემარტოს, რომ არეალის გამწვანება, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მსხვილბიუჯეტიანი პროექტის პირობებში. ,,მწვანე ბიუჯეტი" კი მიკროპროექტების დაფინანსებას ითვალისწინებს. გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების მდგრადობისათვის სასურველია მოცემულ ეტაპზე საბჭომ თავი შეიკავოს პროექტის ვერიფიკაციისაგან.

მოისმინეს საბჭოს თავმჯდომაე მაიზერ ნანავას ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც განმარტა, რომ მერიაში შემოვიდა მოქალაქე ეროსტი ლიპარტიას განცხადება, რომელმაც წარმოადგინა მწვანე ბიუჯეტის საპროექტო წინადადება რიყის საჯარო სკოლის გამწვანებასთან დაკავშირებით. პროექტის ფარგლებში სურთ შეიძინონ და დარგონ: **მარადმწვანე მუხა 2 ძირი; ხეტიტა 2 ძირი; ირმის რქა 2 ძირი; აბრეშუმუმის აკაცია 2 ძირი.** პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება მათი გათვლით შეადგენს 4 200 ლარს.

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა არ შეესაბამება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 ივნისის N24.24221731 ბრძანებით მწვანე ბიუჯეტის საბჭოს საქმიანობის და ფორმირების წესით დადგენილ მოთხოვნებს (კრიტერიუმებს), რომლის თანახმადაც გამწვანების პროექტის განსახორციელებლად შერჩეულ ადგილზე არსებული მიწა, როგორც უძრავი ქონება უნდა იყოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, საბჭოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა აღნიშულ საპროექტო ინიციატივას.

მოისმინეს საბჭოს თავმჯდომაე მაიზერ ნანავას ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც განმარტა, რომ მერიაში შემოვიდა მოქალაქე დესპინე სახურიას განცხადება, რომელმაც წარმოადგინა მწვანე ბიუჯეტის საპროექტო წინადადება N12 საჯარო სკოლის გამწვანებასთან დაკავშირებით. პროექტის ფარგლებში სურთ შეიძინონ და დარგონ: **ლეილანდი 200 ძირი.** პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება მათი გათვლით შეადგენს 4 000 ლარს.

გადაწყვიტეს: წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა არ შეესაბამება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 ივნისის N24.24221731 ბრძანებით მწვანე ბიუჯეტის საბჭოს საქმიანობის და ფორმირების წესით დადგენილ მოთხოვნებს (კრიტერიუმებს), რომლის თანახმადაც გამწვანების პროექტის განსახორციელებლად შერჩეულ ადგილზე არსებული მიწა, როგორც უძრავი ქონება უნდა იყოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, საბჭოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა აღნიშულ საპროექტო ინიციატივას.

სხდომის თავმჯდარე მ. ნანავა

სხდომის მდივანი: თ. გიგიბერია

საბჭოს წევრები:

კობა ჯიქია	კ. ჯიქია
თემურ ჯიქია	თ. ჯიქია
სანდრო სორდია	ს. სორდია
ირაკლი ციმაკურიძე	ი. ციმაკურიძე
გიორგი გაწერელია	გ. გაწერელია
იური შეროზია	ი. შეროზია
შალვა აგუმავა	შ. აგუმავა
ფრიდონ წიფურია	ფ. წიფურია
ირაკლი ქოჩუა	ი. ქოჩუა
მაია კოდუა	მ. კოდუა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს სხდომის

ოქმი №4

თარიღი 20.10.2023

მდებარეობა: ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქ. № 90

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზი

2023 წლის 20 ოქტომბერს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მაიზერ ნანავა.

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: კობა ჯიქია, თემურ ჯიქია, ლაშა ადეიშვლი, გიორგი გაწერელია, თეონა გიგიბერია, იური შეროზია, ირაკლი ციმაკურიძე, ფრიდონ წიფურია, ირაკლი ქოჩუა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: მამუკა წოწერია, კონსტანტინე კაკავა, ბესიკ ჭეჟია, ხათუნა შამუგია, სანდრო სორდია დიმიტრი ფაცაცია, მაია კოდუა, შალვა აგუმავა, არსენა ფაცაცია, ნათია ჩიტაია.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. საპროექტო ინიციატივის ავტორების მიერ შემოტანილი განცხადებების განხილვა მოქალაქეთა თანხობრივი თანამონაწილეობის წილის (5%) გადახდის გადავადების თაობაზე;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მაიზერ ნანავას ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით რომელმაც განმარტა, რომ მერიაში შემოვიდა მოქალაქეების კახა ჯიქიას, ვალინა ზარქუას, ბაჩანა ბაძაღუას განცხადებები მოქალაქეთა თანხობრივი თანამონაწილეობის წილის (5%) გადახდის გადავადების თაობაზე.

გადაწყვიტეს: სამივე საპროექტო ინიციატივის ავტორს თანხობრივი თანამონაწილეობის წილის (5%) გადახდის თარიღი გადაუვადდეს მიმდინარე წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამით ამოიწურა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდარე		მ. ნანავა
სხდომის მდივანი:		თ. გიგიბერია

საბჭოს წევრები:

კობა ჯიქია		კ. ჯიქია
თემურ ჯიქია		თ. ჯიქია
ლაშა ადეიშვილი		ლ. ადეიშვილი
ირაკლი ციმაკურიძე		ი. ციმაკურიძე
გიორგი გაწერელია		გ. გაწერელია
იური შეროზია		ი. შეროზია
ფრიდონ წიფურია		ფ. წიფურია
ირაკლი ქოჩუა		ი. ქოჩუა